

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის -

მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის (ს/კ 404439247)

**ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტთა აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის წესი**

***მუხლი 1. ზოგადი დებულებები***

1. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, სტუდენტებს გააცნოს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის სახეები და დაეხმაროს, მსგავსი დარღვევების თავიდან აცილებაში;
2. თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია (შემდგომში თსას), სტუდენტების, აკადემიური კეთილსინდისიერების - ნდობის, პატივისცემის, სამართლიანობისა და გულწრფელობის პრინციპების დაცვის მიზნით, განსაზღვრავს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის სახეებს, პლაგიატის თავიდან აცილების გზებსა და, აღმოჩენის შემთხვევაში, მოქმედი სტუდენტის მიმართ დისციპლინური საქმის წარმოების პროცედურასა და სანქციებს.

***მუხლი 2. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის სახეები***

1. პლაგიატი, რომელიც გულისხმობს გამიზნულად თუ უნებლიეთ<sup>1</sup>სხვისი ნაშრომის (იდეების, ცნებების, ფორმულების, გრაფიკების, ცხრილების, გამოსახულებების, დიზაინისა და სხვ.) საკუთრად წარმოჩენასა და გავრცელებას ავტორის /წყაროს შესაბამისად მითითების (საჭიროების შემთხვევაში, ნებართვის) გარეშე;

---

<sup>1</sup> შენიშვნა: გამიზნული არაკეთილსინდისიერი აკადემიური პრაქტიკა განსხვავდება დაბალი ხარისხით შესრულებული აკადემიური ნაშრომისგან, რაც, შესაძლოა, გამოწვეული იყოს გამოუცდლობით ან უცოდინრობით. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტი თსას-ისგან მიიღებს რჩევებსა და კონსულტაციებს მომავალში მსგავსი პრაქტიკის თავიდან ასაცილებლად.

2. თვითპლაგიატი, რომელიც გულისხმობს სხვა ნაშრომში გამოთქმული საკუთარი მოსაზრებების გამეორებას ორიგინალის (პირველადი წყაროს) მითითების გარეშე, ან საკუთარი ნაშრომის ორჯერ ან მეტჯერ წარდგენას სხვადასხვა დავალების ფარგლებში;
3. კომპილაცია, რომელიც გულისხმობს საკუთარი კვლევა-ანალიზისა და ინტერპრეტაციის გარეშე საავტორო უფლებით დაცული, სხვის მიერ მიღებული კვლევითი შედეგების/ნაშრომების გამოყენებასა და დაჯგუფებას;
4. გაყალბება, რომელიც გულისხმობს ნაშრომში მონაცემების ცვლილებას, მონაცემებით მანიპულირებას, მიღებული შედეგების შერჩევითად გამოყენებას, რაც იწვევს შედეგებისა და დასკვნების არასწორ ინტერპრეტაციას;
5. ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ სხვის მიერ შესრულებული ნაშრომის საკუთრად წარდგენა;
6. ინდივიდუალური ნამუშევრის ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული ნამუშევრის ჯგუფურ ნამუშევრად წარმოჩენა;
7. გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან და/ან წყაროდან, რომელიც დაშვებული არ არის გამოცდის ფორმატით;
8. სხვის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება ან სხვა პირის შეგზავნა გამოცდის ჩასაბარებლად;
9. გამოცდის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება და/ან გავრცელება.

**მუხლი 3. პლაგიატის თავიდან აცილება**

1. თსას-ისთვის მნიშვნელოვანია, სტუდენტები აცნობიერებდნენ, რომ პლაგიატი არაეთიკური ქმედებაა, რომელიც უტოლდება ქურდობასა და თაღლითობას, რადგან გულისხმობს სხვისი ინტელექტუალური შრომის მითვისებას და საკუთრად წარმოჩენას. პლაგიატის შედეგად სტუდენტი ზიანს აყენებს როგორც საკუთარ, ასევე თსას-ის რეპუტაციას და დგება პლაგიატის წინააღმდეგ თსას-ის მიერ განსაზღვრული სანქციების მასთან მიმართებით ამოქმედების საფრთხის წინაშე. თსას-ი, არაკეთილსინდისიერი პრაქტიკის თავიდან არიდების მიზნით, ატარებს შემდეგ ღონისძიებებს:
  - ა. აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული საკითხების პირველკურსელთათვის საორიენტაციო შეხვედრების ფორმატში განხილვა;

- ბ. სტუდენტები კურსის ფარგლებში აკადემიური პერსონალის მიერ იღებენ განმავითარებელ შეფასებას წერით დავალებებთან დაკავშირებით (თუ დავალება არ არის წარმოდგენილი შემაჯამებელი შეფასებისთვის);
- გ. პერიოდულად ატარებს პროგრამულ სემინარებს აკადემიური პერსონალისათვის;
- დ. საჭიროების შემთხვევაში ახდენს აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირებას სასწავლო კურსის სილაბუსებში;
- ე. რეგულარულად მართავს ცნობიერების ასამაღლებელი საინფორმაციო კამპანიას აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით.

2. ნებისმიერი წერითი ხასიათის დავალების შესრულებისას რეკომენდებულია, სტუდენტმა იხელმძღვანელოს შემდეგი ძირითადი პრინციპების დაცვით:

ა) *პერიფრაზირების* (ანუ სხვისი იდეის ან ინფორმაციის გამოყენების) შემთხვევაში, შინაარსი უნდა გადმოიცეს საკუთარი სიტყვებით და მიეთითოს წყარო. მნიშვნელოვანია ორიგინალურ/პირველად წყაროში გამოყენებული სიტყვების შემლებისდაგვარად მინიმუმამდე დაყვანა, თუმცა აზრის შეუცვლელად გადმოცემა.

ბ) *ციტირება (ტექსტსა და ბიბლიოგრაფიაში)* - გამოყენებული ციტატების, პერიფრაზის, რეფერირების, ცხრილების, გამოსახულებების და სხვა მასალების წყარო უნდა მიეთითოს ფაკულტეტის მიერ განსაზღვრული წყაროს მითითების აკადემიური სტილის (მაგ. APA, Harvard, Chicago და სხვა) მოთხოვნების დაცვით. მათ შორის, მნიშვნელოვანია საკუთარი ნაშრომის შესაბამისად ციტირება თვითპლაგიატის თავიდან აცილების მიზნით. ორიგინალიდან (დედნიდან) წყაროდან ფრაზის შეუცვლელად გამოყენების შემთხვევაში ციტატა გამოყოფილი უნდა იყოს ბრჭყალებით და შესაბამისად მიეთითოს წყარო (მათ შორის, ტექსტში მითითებული უნდა იყოს გვერდის ნომერი ან, ვებგვერდის შემთხვევაში, აბზაცის ნომერი). ასევე, ბიბლიოგრაფიაში სრულყოფილად უნდა იყოს წარმოდგენილი გამოყენებული ლიტერატურისა და სხვა წყაროების ჩამონათვალი. წყაროს მითითება სტუდენტს ეხმარება საკუთარი პოზიციის დამატებითი მტკიცებულებებით გამყარებასა და მკითხველის დარწმუნებაში, რომ მისი ნაშრომი დამაჯერებელია.

გ) ინფორმაციის პირველად წყაროში გადამოწმება - სასურველია ინფორმაციის გადამოწმება მოხდეს შეძლებისდაგვარად პირველად წყაროში (მათ შორის, ტექსტში მითითებული უნდა იყოს გვერდის ნომერი ან, ვებგვერდის შემთხვევაში - აბზაცის ნომერი), ნაცვლად მეორადი წყაროდან გამოყენებისა.

დ) ანალიზი - უნდა ასახავდეს სტუდენტის საკუთარ მოსაზრებებს.

#### **მუხლი 4. პლაგიატის აღმოჩენა, სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების პროცედურა და სანქციები**

1. სტუდენტის მიერ ელექტრონულ ფორმატში წარმოდგენილი წერითი ხასიათის დავალება პლაგიატზე მოწმდება ტექსტის ამომცნობი ავტომატური სისტემის ელექტრონული პროგრამის საშუალებით. სისტემა სტუდენტის ნაშრომს სხვა ელექტრონულ წყაროებს ადარებს. ელექტრონული პროგრამის ანგარიშის საფუძველზე თავად გამსწორებელი განსაზღვრავს მისაღებ ზომებს - აფასებს ნაშრომს ან, პლაგიატის არსებობაზე ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, აცნობებს ფაკულტეტის ადმინისტრაციას. გამსწორებელი და ფაკულტეტის ადმინისტრაციის წევრები განიხილავენ შემთხვევას. ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე, არაუგვიანეს 2 კვირის განმავლობაში იქმნება „აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისია“ (შემდგომში - „კომისია“) და ინიშნება დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვის თარიღი. სტუდენტს წერილობითი ფორმით ეგზავნება დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყებისა და განხილვის თარიღის შესახებ. სტუდენტი ესწრება მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას, რომელზეც სარგებლობს სიტყვის უფლებით. სტუდენტს აქვს უფლება მიაწოდოს კომისიას თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები საკუთარი პოზიციის დასაცავად. კომისია იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც წერილობითი სახით ეცნობება ფაკულტეტსა და სტუდენტს.

კომისიის მიერ სტუდენტის მიმართ სანქციების დაკისრების გადაწყვეტილება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული. კერძოდ:

დარღვევა	ჩადენილი დარღვევის რაოდენობა	მინიმალური სანქცია	უმაღლესი სანქცია
პლაგიატი, თვითპლაგიატი, კომპილაცია, გაყალბება	პირველი შემთხვევა	ნაშრომის 0 ქულით შეფასება და ხელახლა წარმოდგენა	ნაშრომის 0 ქულით შეფასება და ხელახლა წარმოდგენა და გაფრთხილება
	მეორე შემთხვევა	ნაშრომის 0 ქულით შეფასება და განმეორებით წარმოდგენა და გაფრთხილება	ნაშრომის 0 ქულით შეფასება და კურსის განმეორებით გავლა
	მესამე შემთხვევა	ნაშრომის 0 ქულით შეფასება და კურსის განმეორებით გავლა	სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა
ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ სხვის მიერ შესრულებული ნაშრომის საკუთრად წარდგენა		სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა	
გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან და/ან წყაროდან, რომელიც დაშვებული არ არის გამოცდის ფორმატით;	პირველი შემთხვევა	გამოცდის განმეორებით ჩაბარება	გამოცდის განმეორებით ჩაბარება და გაფრთხილება
	მეორე შემთხვევა	გამოცდის განმეორებით ჩაბარება და გაფრთხილება	გამოცდის საგნის ახლიდან გავლა
	მესამე შემთხვევა	საგნის ახლიდან გავლა	სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა
გამოცდის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება და/ან გავრცელება;		გამოცდის დატოვება, გამოცდაზე არდაშვება ან უკვე ჩაბარებული გამოცდის შედეგის გაუქმება და ახლიდან ჩაბარება	
სხვის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება ან სხვა პირის შეგზავნა გამოცდის ჩასაბარებლად;	პირველი შემთხვევა	გამოცდის დატოვება და ახლიდან ჩაბარება;	
	მეორე შემთხვევა	გამოცდის ახლიდან ჩაბარება და გაფრთხილება	
	მესამე შემთხვევა	სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა	